

**ინფორმაცია
საქართველოში დავნილთა
უფლებებისა და
შეღვათების შესახებ**



**ბროშურა შედგენილია თქვენი
უფლებებისა და მოვალეობების უკეთ
გაცნობის მიზნით**

დეენილის ცნების განმარტება

ვინ არის დეენილი?

იძულებით გადაადგილებულ პირად – დეენილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დეენილთა შესახებ, მუხლი 1

ვის შეუძლია დეენილის სტატუსის მიღება?

ყოველი ადამიანი, ვისაც ეს განმარტება შეეხება, უფლებამოსილია მოითხოვოს დეენილის სტატუსი.

როგორ შეიძლება მივიღო დეენილის სტატუსი?

დეენილის სტატუსის მისაღებად თქვენ შეგიძლიათ განცხადებით მიმართოთ:

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ან
- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დეენილთა შესახებ, მუხლი 2, პ. 1

თუ თქვენ იძულებული გახდით, დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია და იმყოფებით საზღვარგარეთ, თქვენ შეგიძლიათ აღრიცხვამდე ასაყვანად მიმართოთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დეენილთა შესახებ, მუხლი 2, პ. 3

რა არის დევნილობის დამადასტურებელი დოკუმენტი?

დევნილის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, თქვენ გეძლევათ დევნილის მოწმობა, რომელიც ძალაშია მხოლოდ პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 2, პ. 8, 10

ახდენს თუ არა ქორწინება გავლენას ჩემს დევნილის სტატუსზე?

დაოჯახების შემთხვევაში თქვენ გინარჩუნდებათ დევნილის სტატუსი. ქორწინება არ წარმოადგენს დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძველს იმ პირთათვის, რომლებსაც ქორწინებამდე არ გააჩნდათ დევნილის სტატუსი.

შეიძლება თუ არა, რომ ჩემს შვილს მიენიჭოს დევნილის სტატუსი?

თუ ორივე ან ერთ-ერთი მშობელი არის დევნილი, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლების თანხმობის საფუძველზე

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 2, პ. 11

ვინარჩუნებ თუ არა დევნილის სტატუსს, როცა მუდმივად დავსახლდები საქართველოს სხვა რეგიონში?

თქვენ ინარჩუნებთ დევნილის სტატუსს მაშინაც კი, თუ გადაწყვეტთ შეიცვალთ პირვანდელი რეგისტრაციის ადგილი და მუდმივად დასახლდებით და რეგისტრაციას გაივლით საქართველოს რომელიმე რეგიონში. იმ დევნილებს, რომლებმაც დაკარგეს სტატუსი ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, შეუძლიათ აღიდგინონ სტატუსი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება #2/7/219, სსმ IV, #45, 2003

როდის უნდა გავიარო რეგისტრაცია?

თქვენ ვალდებული ხართ, გაიაროთ რეგისტრაცია სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. ბ

თუ თქვენ დადგენილ ვადებში ვერ გაივლით რეგისტრაციას, შეგიძლიათ რეგისტრაციის გასაგებლად ყოველი თვის 10 რიცხვამდე განცხადებით მიმართოთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. სამინისტრო განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში ახორციელებს პირის რეგისტრაციას დადგენილი წესით.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 1 ნოემბრის ბრძანება #124 იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის მოწმობის ფორმის, მოწმობის შესახებ დებულებისა და ანექტის ფორმის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 4, პ. 27

რა შემთხვევაში შეიძლება შემიჩერდეს დევნილის სტატუსი?

- თქვენ დევნილის სტატუსი შეგიჩერდებათ, თუ:
- სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში არ გაივლით რეგისტრაციას
 - დასადგენია დევნილად ცნობისათვის წარდგენილი საბუთების სისწორე
 - დევნილად რეგისტრირებული ხართ რამდენიმე რეგიონში

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 6, პ. 1 - ა, ბ, გ

როდის შეიძლება შემიწყდეს დევნილის სტატუსი?

- დევნილის სტატუსი შეგიწყდებათ, თუ:
- პირადი განცხადებით მოიხსნით დევნილის სტატუსს
 - გახვალთ საქართველოს საზღვრებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად
 - თქვენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღარ არსებობს დევნილობის გამომწვევი

მიზეზები და შესაბამის ტერიტორიაზე
აღსდგა საქართველოს იურისდიქცია

- მიიღებთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას
- სასამართლომ გალიარათ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოგაცხადათ გარდაცვლილად
- გარდაცვალების შემთხვევაში

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი ნ. პ. 3 - ა, ბ, გ, დ, ე, ვ

თქვენ ჩამოგერთმევით დევნილის სტატუსი, თუ გამოძედიანდებთ, რომ სტატუსი მიღებული გაქვთ ყალბი საბუთებისა და ცრუ ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი ნ. პ. 4

ვინ იღებს გადაწყვეტილებას დევნილის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ?

დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხს წყვეტს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრო. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის ან აღდგენის თაობაზე ღავას წყვეტს სასამართლო.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი ნ. პ. 5, 6

სახელმწიფოს ღახმარება ღეზნილთათვის

ღროებით საცხოვრებელ ადგილზე თქვენი უფლებების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად.

დევნილის სტატუსი განიჭებთ გარკვეულ პრივილეგიებსა და შეღავათებს.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი ნ. პ. 2

ყოველთვიური შეხვეობა

სახელმწიფო დევენილებს ყოველთვიურად აძლევს შემწეობას, რომელიც განისაზღვრება: არაორგანიზებული ჩასახლებულთათვის – 28 ლარით თვეში, ხოლო ორგანიზებული (კომპაქტურად) ჩასახლებულთათვის – 22 ლარით თვეში. სააქციო საზოგადოება “სახალხო ბანკის” ფილიალები ყოველთვიურად აწარმოებენ შემწეობების გაცემას.

ყოველთვიური შემწეობა შეგიჩერდებათ, თუ

- საქართველოს ფარგლებს გარეთ გახვალთ ორ თვეზე მეტი ვადით
- შეგიჩერდათ დევენილის სტატუსი

ყოველთვიური შემწეობა შეგიწყდებათ, თუ

- ნებაყოფლობით დებულობთ სიღატაკის მღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის განკუთვნილ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას
- შეგიწყდათ დევენილის სტატუსი
- პირადი განცხადებით თქვით უარი შემწეობის მიღებაზე

შემწეობის შეჩერების ან შეწყვეტის მიზეზის აღმოფხვრის შემდეგ, მისი განახლება/აღდგენა ხდება პირადი განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე.

შემწეობის შეჩერების ან შეწყვეტის შემდეგ მისი განახლების/აღდგენის შემთხვევაში შემწეობის გაცემა განახლდება შემწეობის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველის აღმოფხვრის თვიდან მომდევნო თვეს.

საქართველოს კანონი საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი 47.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 5, მუხლი 5, პ. 1

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 27 დეკემბრის ბრძანება #146 იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევენილთა ყოველთვიური ფულადი შემწეობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 4, პ. 2

საარსებო შემწეობა

რა არის საარსებო შემწეობა?

მიზნობრივი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) არის ფულადი სახის გასაცემელი.

ვინ არის უფლებამოსილი მიიღოს საარსებო შემწეობა?

საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს (დაგაკ ოჯახს), რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

საარსებო შემწეობის დასანიშნად ოჯახის სრულწლოვანმა ქმედუნარიანმა წევრმა ან ოჯახის კანონიერმა წარმომადგენელმა საჭიროა, განცხადებით მიმართოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. განცხადების შევსება შეიძლება განხორციელდეს როგორც სააგენტოს შესაბამის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში, ისე ოჯახის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე სააგენტოს პასუხისმგებელი პირის ვიზიტისას.

რა ოდენობით განისაზღვრება საარსებო შემწეობა?

საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ერთსულიანი ოჯახისთვის დადგენილია 30 ლარი. მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო თითოეულ წევრზე ემატება 12 ლარი.

შეიძლება თუ არა საარსებო შემწეობისა და დეკლარაცია ყოველთვიური შემწეობის ერთდროულად მიღება?

საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს დეკლარაციის ყოველთვიური შემწეობის მიღებას. ოჯახს უფლება აქვს აირჩიოს ყოველთვიური ან საარსებო შემწეობის მიღება.

2007 წლის 16 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება # 145 სოციალური დახმარების შესახებ

2007 წლის 27 ივნისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #225/ნ მზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

პენსია

სახელმწიფო ბრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პ. 1

ვის შეიძლება დაენიშნოს პენსია?

პენსიის დანიშნვის საფუძვლებია:

- საპენსიო ასაკი – 65 წელი მამაკაცებისთვის, 60 წელი ქალებისთვის
- შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენა
- მარჩენალის გარდაცვალება

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ, მუხლი 5, 6

შეიძლება თუ არა ერთზე მეტი პენსიის მიღება?

პენსიის მიღების ორი ან მეტი საფუძვლის არსებობისას, თქვენ პენსია გენიშნებათ მხოლოდ ერთი საფუძვლით, თქვენივე არჩევით

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ, მუხლი 6, პ. 4

რა ოდენობით განისაზღვრება მინიმალური პენსია?

პენსიის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება თვეში 55 ლარით.

საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული პენსია 2008 წლის 1 აპრილიდან შეადგენს 70 ლარს.

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ, მუხლი 7

საქართველოს კანონი საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი 48, პ. 5 - ა, ბ

არიან თუ არა ომის ვეტერანები უფლებამოსილი მიიღონ პენსია?

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენსია შეიძლება დაენიშნოს:

- მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს
- სამხედრო ძალების ვეტერანებს

საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ, მუხლი ნ. 13, 14, 15, 17

ვინ შეიძლება დააკავოს ჩემი პენსია?

პენსიიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნება შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით დანიშნული პენსიის არა უმეტეს 20%-ის დაკავების მეშვეობით იმ შემთხვევებში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია პენსიონერის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით

სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დანიშნული პენსიის არა უმეტეს 50%-ის დაკავება.

საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ, მუხლი 19

არის თუ არა დანამატი საპენსიო ასაკის საფუძველით დანიშნულ პენსიაზე?

2007 წლის 1 სექტემბრიდან განისაზღვრა შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძველით დანიშნული მინიმალური სახელმწიფო პენსიის დანამატი შემდეგი ოდენობით:

- 5 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისთვის – 2 ლარი
- 5-დან 15 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისთვის – 4 ლარი
- 15-დან 25 წლამდე საერთო შრომითი სტაჟის

- მქონე პენსიონერებისთვის – 7 ლარი
- 25 წლიანი და მეტი საერთო შრომითი სტაჟის მქონე პენსიონერებისთვის – 10 ლარი

თუ თქვენ ვერ მოიპოვეთ შრომითი სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტებს, უფლება გაქვთ 2007 წლის 1 სექტემბრიდან ასაკის გამო მინიმალურ სახელმწიფო პენსიაზე მიიღოთ დანამაგი, შემდეგი წესით:

- დეენილი მამაკაცებისათვის:
- 65-დან 67 წლამდე – 2 ლარი
 - 67-დან 69 წლამდე – 4 ლარი
 - 69-დან 71 წლამდე – 7 ლარი
 - 71 წლიდან ზემოთ – 10 ლარი

- დეენილი ქალებისათვის:
- 60-დან 62 წლამდე – 2 ლარი
 - 62-დან 64 წლამდე – 4 ლარი
 - 64-დან 66 წლამდე – 7 ლარი
 - 66 წლიდან ზემოთ – 10 ლარი

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 29 აგვისტოს დადგენილება #181 შრომითი სტაჟის მიხედვით საპენსიო ასაკის საფუძველით დანიშნული სახელმწიფო პენსიის დანამატის განსაზღვრის შესახებ

როგორ გავლენას ახდენს დეენილობა ჩემს შრომით სტაჟზე და შესაბამისად ჩემს პენსიაზე?

თუ თქვენი შრომითი საქმიანობის შეწყვეტა დაკავშირებულია დეენილობასთან, დეენილობის პერიოდში გინარჩუნდებათ შრომის უწყვეტი სტაჟი, მიუხედავად იმისა, მუშაობთ თუ არა.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა დეენილითა შესახებ, მუხლი 9, პ. 3

სახელმწიფო ბაჟი

უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი?

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან იძულებით გადაადგილებულად – დეენილად ცნობილი პირები.

საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან გათავისუფლება.

- ფიზიკური პირი სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რაც დასტურდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობით

სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან გათავისუფლებულები არიან დევნილები – მათი დევნილად ცნობაზე უარის შესახებ საჩივრებზე.

საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ, მუხლი 5, პ. 3 - გ, მუხლი 5, პ. 1 - ა, ძ, ე

უნდა გადავიხადო თუ არა სახელმწიფო ბაჟი პასპორტის აღებისას?

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან თავისუფლებიან:

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები
- ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები – 50 პროცენტით
- პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები – 50 პროცენტით
- 18 წლამდე ასაკის პირები – 50 პროცენტით

საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ, მუხლი 5, პ. 4 ა, ბ, გ, დ, ე

ვინ იხდის დევნილის დაკრძალვის ხარჯებს?

დევნილის გარდაცვალებისას დაკრძალვის ხარჯებს დადგენილი წესით ანაზღაურებენ

დევნის დროებითი განსახლების ადგილის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 2 - მ

ელექტროენერჯის ხარჯები

არსებობს რაიმე შეღავათი ელექტროენერჯის ხარჯების დასაფარად?

ორგანიზებულად ჩასახლებული ერთი დევნილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დაფინანსება ხორციელდება ცენტრალიზებულად და თვეში განისაზღვრება ქალაქ თბილისში 13,48 ლარით, ხოლო საქართველოს სხვა რეგიონებში – 12,98 ლარით.

საქართველოს კანონი საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი 47

საყოფაცხოვრებო ხარჯები

(წყლისა და ნარჩენების ბატანის ხარჯები)

ვინ ფარავს საყოფაცხოვრებო ხარჯებს?

დევნის ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯები (მათ შორის, ობიექტში ჩასახლებულ დევნილთა მიერ მოხმარებული წყლის, ნარჩენების გაგანისა და სხვა ხარჯები) ერთ დევნილზე განისაზღვრება თვეში არა უმეტეს 4 ლარის ოდენობით. საყოფაცხოვრებო ხარჯების დაფარვა უნდა განხორციელდეს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და კომპაქტური ჩასახლების ადმინისტრაციას შორის არსებული სახელმეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. ხელმეკრულების პირობებსა და მის გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციას ადგენს საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

საქართველოს კანონი საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, მუხლი 47, პ. 3

საკუთრება

მაქვს თუ არა საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება?

საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21, პ. 1

დევნილებისათვის ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებისთვის უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია:

- გარიგების წერილობითი ფორმით დადება (ნასყიდობის ხელშეკრულების ნოგარიულად დამოწმება სავალდებულო აღარ არის)
- შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 183

პრივატიზაცია

როგორ შეიძლება ქონების პრივატიზაცია?

საკუთრება უძრავ ქონებაზე შეიძლება წარმოიშვას პრივატიზაციის წესით. არსებობს ორი სახის პრივატიზაცია – სასყიდლიანი და უსასყიდლო.

სასყიდლიანი პრივატიზაცია შეიძლება განხორციელდეს აუქციონის ან პირდაპირი მიყიდვის ფორმით. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზაციის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

უსასყიდლო პრივატიზაციის მონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვა) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი

(იბოლირებული და არაიბოლირებული) ფართით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში - მისი მემკვიდრე.

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, მუხლი 1, ნ

2007 წლის 29 იანვრის პრეზიდენტის ბრძანებულება #73 კანონიერი მოსარგებლებისთვის გადასაცემაში არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (მხოლოდრებული და არამხოლოდრებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ

როგორ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით სარგებლობა?

დევნილს შეუძლია მიმართოს ადგილობრივ თვითმმართველობას (გამგეობას), რათა არსებული ნორმით დროებით სარგებლობაში გამოეყოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. თქვენ, როგორც დევნილი, თავისუფლდებით მიწის გადასახადისაგან.

თქვენ ისევე, როგორც არადევნილს, შეგიძლიათ მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 2 - თ

განსახლება

მაქვს თუ არა განსახლების უფლება?

ყველა დევნილს აქვს დროებითი განსახლების უფლება. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო ახორციელებს დევნილთა განსახლებას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისთვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 2 - დ, 3

**შეიძლება თუ არა ჩემი გამოსახლება
კომპაქტური განსახლების ობიექტიდან?**

საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით. ამასთან, საქართველოს შესაბამის გერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- დევნილთან იდება წერილობითი შეთანხმება
- გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები
- ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით
- დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 4 - ა, ბ, ვ, დ

იცით თუ არა თქვენ, რომ

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლგოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან შეთანხმებით? აღნიშნული შეთანხმების წერილობითი ფორმით მიღებამდე უნდა შეჩერდეს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების აღსრულება.

2007 წლის 24 მაისის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანება, მუხლი 1, პ. 4

ბანათლება

**აქვთ თუ არა ჩემს შვილებს განათლების
უფლება?**

ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 33, პ. 1

სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილის კონსტიტუციურ უფლებას განათლებაზე და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათ უფასო სწავლებას სახელმწიფოს ხარჯზე.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. 2 – დ

ტრანსპორტი

მაქვს თუ არა შეღავათი მატარებლით მგზავრობისას?

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს დროებით მიეცათ შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლება საგარეუბნო და ადგილობრივი მსვლელობის მატარებლებზე საერთო და პლაცკარტ ვაგონებით ტარიფის 50 პროცენტის ფასდაკლებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

შეღავათიანი (50 პროცენტის) სამგზავრო ბილეთი გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით დევნილის მოწმობის საფუძველზე.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის 2001 წლის 3 იანვრის ბრძანება #1 სარეინიჭო ტრანსპორტით მგზავრობისას დევნილებისათვის შეღავათების დადგენის შესახებ

მაქვს თუ არა შეღავათი თბილისში ავტობუსითა და მეტროთი მგზავრობისას?

თბილისში მცხოვრები დევნილები, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში სარგებლობენ 50%-იანი ფასდაკლებით მუნიციპალური ავტობუსითა და მეტროთი მგზავრობისას.

ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 დეკემბრის # 15-74 გადაწყვეტილება, მუხლი 12, პ. 1, 2

არჩევნები

მაქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ სცნო ქმედუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 28, პ. 1, 2

დევნილებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ყველა სახის არჩევნებში მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დევნილთა მონაწილეობას არჩევნებში უზრუნველყოფენ საოლქო საარჩევნო კომისიები, ლგოლვითა და განსახლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ დევნილებს ასევე გააჩნიათ “პასიური” საარჩევნო უფლება, რაც ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები არჩევნებზე.

დევნილობის დასასრული

დაბრუნებისა და განსახლების უფლება

მაქვს თუ არა თავისუფალი მიმოსვლის უფლება?

ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 22, პ. 1

უნდა ვაცნობთ თუ არა სამინისტროს ჩემი საცხოვრებელი მისამართის შეცვლის შესახებ?

თქვენ ერთი თვის განმავლობაში უნდა წერილობით აცნობთ ლგოლვითა და განსახლების სამინისტროს დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ. საქართველოს ტერიტორიის ორ თვეზე მეტი ვადით

დატოვებისას, ასევე წინასწარ და წერილობით უნდა აცნობოთ სამინისტროს.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 5, პ. ა, გ

მაქვს თუ არა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების უფლება?

ყველა ადამიანს, ვინც იძულებით იქნა გადაადგილებული თავისი მუდმივი საცხოვრებელიდან, აქვს დაბრუნების უფლება, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა იგი დევნილის სტატუსს. საქართველოს მთავრობა ვალდებულია, შექმნას სათანადო პირობები, რაც საშუალებას მისცემს დევნილებს, დაბრუნდნენ ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსებით ან ნებაყოფლობით განსახლდნენ ქვეყნის ნებისმიერ მხარეში.

ქონების რესტიტუციის უფლება

შემიძლია თუ არა მოვითხოვო ჩემი ქონება ან შესაბამისი კომპენსაცია?

აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა, მათ შორის ლტოლვილთა და განსახლდების სამინისტრომ, უნდა მიიღონ ზომები, რათა დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე შექმნან უსაფრთხო ცხოვრებისთვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობები, დევნილს, მის კანონიერ მემკვიდრეს დაუბრუნონ პირადი საკუთრება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი და მასზე გაპიროვნებული საკარმიდამო ნაკვეთი იმ მომენტიდან არსებული სახით.

მიყენებული ზარალის კომპენსირებას, მისი ბღვრული ოდენობის განსაზღვრის შემდეგ, განახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ხელისუფლების მიერ დადგენილი წესით.

მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრისა და კომპენსაციის გაცემის წესს ადგენენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები.

საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ, მუხლი 7, პ. 1 - ა, ბ

შემიძლია თუ არა დაფარვისტრირო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დატოვებული ჩემი სახლი ან მიწის ნაკვეთი?

”ჩემი სახლის” პროგრამის ფარგლებში თქვენ შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დატოვებული სახლი და/ან მიწის ნაკვეთი ლგოლვილთა და განსახლების სამინისტროში ან მის გერიტორიულ ორგანოებში წერილობითი დეკლარაციის წარდგენის საფუძველზე. დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თქვენსა და თქვენი ქონების შესახებ.

დეკლარაციასთან ერთად თქვენ უნდა წარადგინოთ უძრავ ქონებაზე უფლების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი მაინც):

- ბინის ორდერი
- მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გეგმა
- ანდერძი
- არქიტექტურული პროექტი
- ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება
- სასამართლოს გადაწყვეტილება
- სსრკ პასპორტში ჩაწერის ბეჭედი
- საბინაო წიგნიდან ამონაწერი
- სოფლის საკომლო წიგნიდან ამონაწერი
- სხვა დოკუმენტი

ლგოლვილთა და განსახლების სამინისტრო წარდგენილი მონაცემების საფუძველზე გასცემს სათანადო ბეჭდით დამოწმებულ „სააღრიცხვო მოწმობას“, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ და აფხაზურ ენებზე აფხაზეთში მცხოვრებთათვის.

დეკლარაცია, რომელიც შევსებული იქნება ხარვეზით, ათი დღის ვადაში უბრუნდება განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად. ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ თქვენ უფლება გაქვთ ხელახლა მიმართოთ სამინისტროს ან შესაბამის სტრუქტურას.

არის თუ არა აფხაზეთში დადებული სამოქალაქო ვარიეტები ლეგალური?

პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, 1992 წლის 14 აგვისტოს შემდეგ აფხაზეთის

ტერიტორიაზე დადებული ყველა სამოქალაქო გარიგება იურისდიქციის სრულ აღდგენამდე მიიჩნევა ბათილად.

საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 20 მარტის #1331-III დადგენილება აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უკანონო ვასხვისების შესახებ, მუხლი 1



ბროშურა გამოსემულია ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საინფორმაციო, საკონსულტაციო და იურიდიული დახმარების პროექტის ფარგლებში

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (ნლს) სპეციალიზირდება ლტოლვილთა და დევნილთა საერთაშორისო დახმარებისა და დაცვის სფეროში. ამჟამად ნლს მუშაობს 20 ქვეყანაში 4 კონტინენტზე.

ნლს ახორციელებს საინფორმაციო, საკონსულტაციო და იურიდიული დახმარების პროექტს თბილისში, გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში სამი არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით (საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ყდაზე). პროექტის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილნაცვალ მოსახლეობის სამოქალაქო უფლებების დაცვას.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში დევნილთათვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევას ზემოთ ხსენებულ ქალაქებში. მომსახურება ხორციელდება როგორც აღნიშნული ორგანიზაციების ოფისებში, ისე დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში, იურისტთა მობილური ჯგუფების რეგულარული ვიზიტების დროს.

ეს ბროშურა არ შეიცავს ინფორმაციას დევნილთა ყველა უფლებისა და მოვალეობის შესახებ. კანონმდებლობის რეგულარული ცვლისა და განახლების გამო გამოსემის მომენტისთვის გობიერთი ინფორმაცია შეიძლება იყოს უკვე მოკვლეული. შესაბამისად ამ ბროშურის გამომცემლები და დამფინანსებლები არ არიან პასუხისმგებელი ასეთი ცვლილებებით გამომწვეული უგუსტობების გამო. თუ გუსაჭიროებათ დამატებითი ინფორმაცია, გთხოვთ, მიმართოთ მითითებულ მისამართებზე.

აპრკაღულია აქ მოყვანილი მასალების გაღაბჟღვა, გაგრავღვა ან გაგრცღღვა კოვერციული მიღნით

ბროშურის გაომცემა დაფინანსებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღღესო კომისარიატისა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ.



თბილისი

საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი
ივანე მაჩაბლის ქ. 1/6, მე-2 სართ.
(შესასვლელი გიორგი ლეონიძის ქუჩიდან)
ტელ: (8 22) 99 97 38
ელ. ფოსტა: office@spf.ge

გორი

საზოგადოებრივი პროგრამების ფონდი
ცხინვალის ქუჩა 19
ტელ: (8 270) 7 38 86
ელ. ფოსტა: makasal@rambler.ru

ქუთაისი

ორგანიზაცია მომავლის განვითარების სახლი
რუსთაველის გამზირი 27
ტელ: (8 231) 5 25 02
ფაქსი: (8 231) 5 25 02
ელ. ფოსტა: ofph@caucasus.net

ზუგდიდი

სამათლებრივი დაცვის ინსტიტუტი
ცოტნე ლადიანის ქუჩა 1, ბინა 6
ტელ: (8 215) 5 26 38
ელ. ფოსტა: office@lpi.org.ge

